



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 18

03 01 2012წ.

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2011 წლის 1 ივნისის №223 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესის“ (დანართი №1):

ა.ა) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ცენტრის ადმინისტრაცია (სამსახური) (შემდგომში - სამსახური).“

ა.ბ) მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 მუხლი

„მუხლი 13. ცენტრში დასაქმებისას წარსადგენი დოკუმენტები

501000

ცენტრში დასაქმების მსურველმა ცენტრში უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV);

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ერთი ფოტოსურათი (3X4), როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული სახით (ჩაწერილი CD-ზე).

ბ) ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შინაგანაწესის“ (დანართი №2) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. შინაგანაწესის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებენ ცენტრის დირექტორი და მონიტორინგის სამსახური.“

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6).

დირექტორი



აკაკი სეფერთელაძე